აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №7

12/09/2024 წელი **ქ. ბათუმი**
15[00] საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი **-** პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;

დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

კახაბერ ჯაიანი - კომისიის წევრი - პ/გ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;

ზურაბ გოლიაძე - კომისიის წევრი - პ/გ „გირჩი“;

სალომე რაზმაძე - კომისიის წევრი - პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“.

არ ესწრებოდნენ:

ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“;

გიორგი ხოკერაშვილი - კომისიის წევრი - პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;

ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები უსკოში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანი და პარმენ ჯალაღონია.

კახაბერ ჯაიანი დაინტერესდა უსკოს თუ აქვს რაიმე ბერკეტი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კონკურსის წესით არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ჩანაცვლებაზე და ითხოვა დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა საკითხი (საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული უბნის წევრების ჩანაცვლება). კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ აქვს ინფორმაცია და მტკიცებულებები, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა აირჩიეს თითქოსდა ნეიტრალური და მიუკერძოებელი ადამიანები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად, მაგრამ ეს ადამიანები არიან კონკრეტული პარტიის აქტივისტები და მათი ოჯახის წევრები,

საჭიროების შემთხვევაში შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებებიც.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის - სხვადასხვა საკითხში განეხილათ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული უბნის წევრების ჩანაცვლების (შეცვლის) საკითხზე რამდენად უფლებამოსილია უსკო და სთხოვა იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, ფრიდონ ბათნიძეს შესაბამისი განმარტებებისათვის მომზადება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რის შემდეგაც კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა *სხვადასხვაში* კომისიის წევრის კახაბერ ჯაიანის მიერ დაყენებული საკითხი - ინფორმაციის სახით საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მოხელეთა ეთიკის კოდექსის შესახებ;

3. განკარგულება
„ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

5. სხვადასხვა

ინფორმაცია - საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 14 ;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 14 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მოხელეთა ეთიკის კოდექსის შესახებ;

3. განკარგულება
„ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

5. სხვადასხვა
ინფორმაცია - საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა.

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო და წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ამ დადგენილების პროექტით განისაზღვრება საარჩევნო პროცედურები თუ ვის აქვს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრების უფლება, ასევე კენჭისყრის დღეს ვის აქვს უბანზე შესვლის უფლება და სხვა პროცედურები რაც საარჩევნო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 14;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 14 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

1. საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ უსკოს წევრებს, უსკოს წარმომადგენლებს და უსკოს აპარატის თანამშრომლებს.

2. საოლქო საარჩევნო კომისია, მოთხოვნის შემთხვევაში, უსკოს აწვდის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ასლებს, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ასლებს.

3. საოლქო საარჩევნო კომისია უსკოს აწვდის ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებთან დაკავშირებით, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 2

1. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ უსკოს წევრებს, უსკოს წარმომადგენლებს და უსკოს აპარატის თანამშრომლებს.

2. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ უსკოს წევრებსა და უსკოს წარმომადგენლებს.

მუხლი 3

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მოხელეთა ეთიკის კოდექსის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო და წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მოხელეთა ეთიკის კოდექსის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ამ დადგენილების მიღებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №49/2021 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის მოქმედება გავრცელდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლებზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მოხელეთა ეთიკის კოდექსის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 14;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 14 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შ[14] ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №49/2021 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 24/08/2021, 010240060.15.008.016577) მოქმედება ვრცელდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლებზე.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება

„ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო და წარუდგინა „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28

აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულმა საარჩევნო სუბიექტის რამდენიმე წარმომადგენელმა ითხოვა უსკოს მიერ დადგენილ ნარკოლოგიურ დაწესებულებებს დამატებოდა ცესკოს მიერ დადგენილი ნარკოლოგიური დაწესებულებებიც ვინაიდან პარტიებს, რომლებსაც პარტიულ სიაში ეყოლებათ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები შესაძლო სხვა რეგიონიდან მათ არ მოუწიოთ ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის ასაღებად აჭარაში ჩამოსვლა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოთხოვნა არის კანონზომიერი და მიაჩნია, რომ ამ კუთხით უნდა შეუწყოს უსკომ ხელი რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 14;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 14 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს:

ა) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს, მისამართი: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქუჩა №102;

ბ) შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ მისამართი: ქ. ბათუმი, ნ. ჯაყელის ქუჩა №44;

გ) საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების თაობაზე“ ცესკოს 2024 წლის 27 აგვისტოს №76/2024 განკარგულებით განსაზღვრულ დაწესებულებებს.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო და წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის

ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 14;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 14 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მოწმობა - დანართი 1;

ბ) უმაღლესი საბჭოს წევრობის დროებითი მოწმობა - დანართი 2.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

5. სხვადასხვა

ინფორმაცია - საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა.

მოისმინეს: იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და

უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ამ შემთხვევაში უსკო იყენებს იმ საარჩევნო ოლქებს და უბნებს რომლებიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის შესაბამისად - საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევასთან დაკავშირებით მათ ჩანაცვლება ან/და გადარჩევასთან დაკავშირებით უსკოს არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

ზურაბ გოლიაძემ, აღნიშნა, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს გამოძიება დაირღვა თუ არა საარჩევნო კანონმდებლობა და შესაბამისად შემდგომ უნდა მოხდეს რეაგირება თუ დაირღვა კანონი, საჩივარი უნდა წარედგინოს ოლქს შემდგომ ცესკოს და საბოლოოდ სასამართლოს.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევასთან დაკავშირებით საკითხი განხილული იქნა და შესაბამისად დადგენილი იქნა, რომ უსკოს არ გააჩნია არანაირი უფლებამოსილება ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

ინფორმაცია

ივანე ფირცხალაიშვილი დაინტერესდა აქვს თუ არა უსკოს რაიმე სახის ბერკეტი, რომ მოითხოვოს უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის ბიულეტენები იყოს ცალ-ცალკე, მ/წ 11 სექტემბერს ჩატარებულმა იმიტირებულმა კენჭისყრამ ცხადყო, რომ ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე 100 გაფერადებული ხმიდან საარჩევნო ყუთის გახსნის შემდგომ აღმოჩნდა, რომ 35 იყო ისეთი, რომ უმაღლესი საბჭოს კანდიდატები არ იყო გაფერადებული.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული, მისი განმარტებით ელექტრონული ტექნოლოგიების შემოღების შემდეგ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდა (3000 - მდე), უბნებში სადაც ამომრჩეველთა მაღალი ინტენსივობა იქნება ცალ-ცალკე ბიულეტენების გაფერადების შემთხვევაში დიდი ალბათობით დროს წაიღებს და შესაძლოა არჩევნების შეფერხებაც კი გამოიწვიოს. ასევე აღნიშნა, რომ ყველა ტრენერმა რეგისტრატორს (მათ

შორის საარჩევნო უბნის ყველა წევრს) უნდა აუხსნას, რომ აუცილებლად მოახდინონ ამომრჩევლის ინფორმირება, რომ ტარდება ერთდროულად როგორც საქართველოს პარლამენტის ასევე უმაღლესი საბჭოს არჩევნები, შესაბამისად ამომრჩეველმა აუცილებლად უნდა გააფერადოს ბიულეტენზე მოცემული ორივე სვეტის სასურველი კანდიდატები. ეს არ იქნება მითითება, ეს უნდა იყოს ამომრჩევლის ინფორმირება.

ივანე ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ რეგისტრატორების იმედად არ უნდა იყოს უმაღლესი საარჩევნო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებაზე.

ციალა შავაძემ აღნიშნა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, დამატებით რამდენიმე ეტაპად გაივლიან ტრენინგებს და აღნიშნული ტრენინგები მოგვცემს შესაძლებლობას კენჭისყრის დღეს ადგილი არ ჰქონდეს პროცედურულ დარღვევებს.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული, თუმცა მიზანშეწონილია ორივე არჩევნებისათვის იყოს ერთი ბიულეტენი.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**